რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანოს

ვთვლით, რომ 26 ოქტომბერს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემა პოსტსკრიპტუმში, ადიგენის სოფელ მოხეში სადავო საკულტო ნაგებობის საკითხის გაშუქებისას, მაუწყებელმა დაარღვია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" რამდენიმე დებულება. კერძოდ:

გადაცემის წამყვანმა დავით კიკალიშვილმა მოხეში საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებით სიუჟეტის წარდგენისას, დაარღვია მიუკერძოებლობის პრინციპი, როდესაც პირადი სუბიექტური დამოკიდებულება მაყურებელს სიუჟეტის ეთერში გასვლამდე შესთავაზა:

> **დავით კიკალიშვილი, წამყვანი:** "სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ ჩემი აზრით, ცალკე აღებულ მოხეში მომხდარ კონფლიქტში უკვე მუსლიმური თემი სცოდავს, რადგანაც სადავო შენობის გარშემო უფრო მეტი მეჩეთია, ვიდრე ეკლესია".

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-16.2 მუხლის თანახმად, "პოლიტიკური, ნებისმიერი სახის დაპირისპირების ამსახველი ან მიმდინარე საჯარო პოლიტიკის საკითხები, რომლებზეც მიმდინარეობს დებატები, არ უნდა შუქდებოდეს მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების ან მოსაზრების საფუძველზე. დაუშვებელია პროგრამაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი პოზიციის გამოხატვა." ხოლო მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ავალდებულებს მაუწყებელს, "ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია."

ხსენებული პასაჟით გადაცემის წამყვანმა ასევე დაარღვია საავტორო გადაცემის წამყვანისადმი კოდექსით წაყენებული მოთხოვნები (მუხლი 17.2), რომლის თანახმად, "საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარება საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა."

ამასთანავე მაუწყებლეთა ქცევის კოდექსის 33.1-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს გადაცემის წამყვანის მიერ საქართველოს მოქალაქე მუსლიმთა უფლებრივი საკითხის დაუსაბუთებელი დაკავშირება უარყოფით მოვლენებთან, კერძოდ: "სასულიერო სასწავლებლის კარებზე მიჭედებულ ღორის თავს ახლა ჯიჰადის მუქარა მოჰყვა საპასუხოდ. ეს ქვეყანაში, რომლის 30% ოკუპირებულია ორი დიდი მეზობელი მუსლიმანური ქვეყანაა და საქართველოდან წასული მებრძოლი სირიაში იმ ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი მეთაურია, რომელსაც მთელი მსოფლიო ებრძვის. მოკლედ, მე იმის თქმა მინდა, სანამ ურა პატრიოტები გულზე მჯიღს დაირტყამდნენ, კარგად უნდა დაფიქრდნენ." აღნიშნული მუხლის თანახმად, "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან."

ტენდენციურია და დისკრიმინაციულია თავად წამყვანის პოზიცია ("სადავო შენობის გარშემო უფრო მეტი მეჩეთია, ვიდრე ეკლესია"), ისევე როგორც ჟურნალისტის მიერ ერთ-ერთი მუსლიმი რესპონდენტის მიმართ დასმული შეკითხვა - "და აუცილებლად აქ უნდა ილოცო?" - რადგან აღმსარებლობის თავისუფლება, ისევე როგორც არჩევანის თავისუფლება, თუ სად ილოცო - ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომლის განსაზღვრა ჟურნალისტის დისკრეციას არ წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 32. 1 მუხლის დარღვევა, რომლის თანახმად, მაუწყებელმა ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე და სოციალურ ფენაზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით უნდა გააშუქოს. დარღვეულია ასევე 32.2 მუხლიც, რომელიც ავალდებულებს მაუწყებელს, პატივი სცეს "აზრის, სინდისის, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებებს და თავიდან აიცილოს ნებისმიერი ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან სოციალური ჯგუფის შეურაცხყოფა."

მოგმართავთ, რათა რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანომ იმსჯელოს აღნიშნული სიუჟეტის მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-16.2, მე-16.4, მე-17.2, 31.1-ე, 31.2-ე, 33.1-ე მუხლებთან შესაბამისობაზე.

ტარიელ ნაკაიძე

ქართველ მუსლიმთა
კავშირის თავმჯდომარის
მოადგილე

თამარ კინწურაშვილი

მედიის განვითარების ფონდის
გამგეობის თავმჯდომარე

თამთა მიქელაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა
და მონიტორინგის ცენტრის
დირექტორი

ეკა ჭითანავა

ტოლერანტობის და
მრავალფეროვნების
ინსტიტუტის დირექტორი

**საკონტაქტო ინფორმაცია:**


მედიის განვითარების ფონდი
ჭავჭავაძის გამზ. #54
მე-5 სართ. მე-4 სადარბაზო
თბილისი, 0179

**ტელ:** 995 790/ 99 66 07
995 32/ 2 22 00 16
**მობილური:** 5 77 447277
**იმეილი:** mdfgeo@gmail.com

ტარიელ ნაკაიძე

**იმეილი:** nakaidzetariel@gmail.com

**მობილური:** 577476507

ეკა ჭითანავა

**იმეილი:** echitanava@gmail.com

**მობილური:** 593161444

ადამიანის უფლებების სწავლებისა და

მონიტორინგის ცენტრი

შანიძის 3, თბილისი

**ტელ:** 223 15 58

**მობილური:** 593409005

**იმეილი:** humanrightsemc@gmail.com